საქართველოს მთავრობის

დადგენილება №157

2021 წლის 7 აპრილი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 იანვრის №6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2021, 190020010.10.003.022558) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით განსაზღვრული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

იმ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, რომელთა მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვა ამ დადგენილების ამოქმედებამდე ექცეოდა „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 იანვრის №6 დადგენილებით განსაზღვრულ რეგულაციებში, ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ იხელმძღვანელონ „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 იანვრის №6 დადგენილების მოქმედი რედაქციით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

„დანართი №1

30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
32200000	რადიოტელეფონიის, რადიოსატელეგრაფო, რადიო- და ტელემაუწყებლობის აპარატურა
32300000	ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა
34100000	ავტოსატრანსპორტო საშუალებები
39100000	ავეჯი

.“.